# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 503

დამატების № 90

კვირა, 14 თებერვალი 1916 წ.




**შიო მღვიმელი.**

**სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო.**

* * *

ო, მზეო, მზეო, შენს ლამაზ სხივებს
დიდი ხანია რაც ვეკონები;
შენს სხივების ქვეშ გადაიშალნენ
ჩემი ძვირფასი ვარდის კონები.

მაგრამ, ვაი მე, ზოგი მათგანი,
რომ ვიყურები, აღარ მხვდებიან;
არ ვიცი, ძალად ვინმე მიგლეჯავს,
თუ ყლორტებიდან თავად სწყდებიან.

ო, მზეო, მზეო, ვფიცავ ტკბილ მშობლის
ძუძუებს მტირალს და დანაღვლებულს,
ვფიცავ მთელ ქვეყნის ტურფა ყვავილებს
და მათ სამსხვერპლოდ გამზადებულ გულს,

რომ შენს მშვენიერს ძლიერ სხივთ ფრქვევას
კვლავ დიდის გრძნობით ვეამბორები,
ოღონდ მოშორდნენ ჩემს მოღლილ თვალებს
ცრემლის და სისხლის მწარე ტბორები!..

შიო მღვიმელი.



შიო მღვიმელი ბავშვებში.



შიო მღვიმელი მეგობრებთან (მ. და ლ. ხმალაძეებთან).

# უბედურება

სურ. 1 მოქმედ.

(დასასრული *)

**ვასილა.** რა ეშველება მაგ საცოდავს!.. რა ეშველება?

**ამირანა.** ოჰ, ჩემო ანტონა! ჩემო ანტონა!

**პავლია.** ბატონო, თუ ყველამ მარტო ვიძახეთ, რა ეშველება, რა ეშველება და ლაპარაკით გავათავეთ საქმე—მართლა რომ არაფერი ეშველება და ეს კაციც შემოგვაკვდება ხელში და ის იქნება! ასე გაჩერება არ შეიძლება... ექიმი ჩვენთვის არაა და ფერშალი!.. ჩვენვე უნდა შევეცადოთ... ვისაც რა შეუძლია!.. სიმონია, გადირბინე, ბიჭო, გადირბინე ერთი ხელათ ნიკოსთან! გააგებინე ამბავი... გთხოვენ გადმობრძანდეთ თქვა... განათლებული და ნაყურები ადამიანია—ეგებ რამე რიგათ მეეშველოს საწყალს?!.

**ვასილა.** ის თავათ გაჩდება აქ, რავარც კი გეიგებს ამბავს... თავათ გაჩდება!..

**პავლია.** კი, მარა... დაჩქარება სჯობია! მალე, მალე, თუ კაცი ხარ!..

**სიმონია.** ახლავე, ახლავე! (გარბის)

**ლომინა.** ე ქალები რომ გაჩერებულან, სეირს უყურებეს დალოცვილები თუ, რავაა... გამოულოცონ მაინც! ვინ იცის, ეგებ ქე ეშველოს, ეშალავათოს.

**რომანოზა.** მართალია, მართალია!.. ყოველნაირი საშვალება უნდა იხმაროთ, რავა შეიძლება! დროით უნდა მიშველება!

**ლომინა.** (მივა კარებთან) თებროლე! თებროლე, გამობრძანდი აქეთ!

**თებროლე.** (ხნიერი დედაკაცი გამოდის სახლიდან) რა გნებავთ?

**პავლია.** თქვე დალოცვილებო, რომ შემორტყმიხართ ამ საცოდავ კაცს—სეირს უყურებთ თუ?

**თებროლე.** რა ვქნათ, ბატონო, დაგვარიგე, შენი ჭირიმე!

**პავლია.** რავა რა ქნათ, შე ქალო! ასე რავა დეიბენით ყველა. გამოულოცეთ, შე დალოცვილო, ეგებ ეშველოს რამე. ნუ, ნუ გაჩერებულხართ, თუ ღმერთი გწამთ.

**თებროლე.** კი, ბატონო! კი, ბატონო. თუ კი ინებებენ, ახლავე გამოულოცავთ, ჩემო ბატონო!

**პავლია.** იმათ რაღას ეკითხებით .. ეს თქვენ უნდა ქნათ და აბა ჰე... აბა ჰე!.. დროს ნუღა კარგავთ!.. შეუდექით, შეუდექით, ეგებ ესალავათოს საწყალს! აბა ჰე, აბა ჰე!

**თებროლე.** ახლავე. ახლავე, ჩემო ბატონო! (შედის სახლში)

**გამოსვლა 8.**

იგინივე და ნიკო.

**ლომინა.** ნიკოც აგერ მობრძანდება!

**ვასილა.** აკი ვსთქვი, უსათუოდ აქ გაჩნდება ახლავე თქვა!

**ნიკო.** გამარჯობათ!. გამარჯობათ თქვენი!

**პავლია.** შენ გადღეგრძელა ღმერთმა, შენ რომ ჩვენისთანა საწყალი კაცი გებრალება და გეცოდება! შენ გადღეგრძელა უფალმა.

**ნიკო.** ეს რა მოუვ-და საწყალ ანტონას? როგორ არის ეხლა?

**ლომინა,** თქვენი მტერი იქნა ის რომ არის! მკვდარივით აგდია საცოდავი!

**ტუფიას ხმა.** მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!

**გამოსვლა 9.**

იგინივე **სერაპიონ** და **ილია** გამოდიან სახლიდან.

**სერაპიონ.** (სახლიდან გამოდის, ნიკოს) მოითმინეთ ბატონო! ცოტათი მოითმინეთ!.. გამოლოცვას გაათავებენ ახლავე დედაკაცები

**ნიკო.** (შეჩერდება) კეთილი, კეთილი!

**პავლია.** (სახლიდან გამომავალ ილიას) რავა ატყობთ, ბატონო ილია, ა?

**ილია.** ცუდათაა საწყალი!.. ცუდათაა!

**ამირანა.** ოჰ, ჩემო ანტონა! ჩემო ანტონა!

**ნიკო.** საწყალი კაცი! რა მოუვიდა ასეთი უბედურს!

**ვასილა.** ანტონა, ანტონაა და ამდენ სულს რა ეშველება?! მუშა კაცის ასეთ დროს წაქცევა!!. ამდენი სამუშევარი, ამდენი საქნარი! ყველაფერი უნდა გაოხრდეს ეს ოჯახის ამოგდებაა ნამდვილი!

**პავლია.** რატომ შე კაცო, რატომ უნდა გაოხრდეს? თუ გავაოხრებთ! ბრმები ხომ არ ვართ, ხომ ყველა ვხედავთ რა ყოფაში ჩავარდა ჩვენი მეზობელი? ყველა წევეხმარებით, ყველა შევუდგებით და შევეწევით!.. სიკვდილით ღმერთმა ნურაფერი გაუჭიროთ და სხვებრ ყველა ხელს შეუწყობთ. რატომ გავაოხრებინებთ! ჩვენს თავზედაც უნდა ვიფიქროთ. დღეს ანტონას ასე მოუვიდა—ხვალ შეიძლება მეც ასე შემემთხვეს შენც! ერთმანეთ მივხედოთს უნდა და კიდეც მივხედავთ! კი, კი!

**ნიკო.** უსათუოდ, უსათუოდ!

*) იხ. სურათებიანი დამატება № 89.



მინისტრების საბჭოს თავმჯდომარე
**შ ტ ი უ რ მ ე რ ი.**



ხორუნჟი ვლადიმერ ჩალენკო
(ჭრილობ. გარდაიცვალა)



პრაპორ. დავით ქოჩიაშვილი
(დაჭრილია).



პრაპორ. ივლიანე (ილიუშა)
გრიგოლია (მოკლულია).

**ილია.** კარგი დაგემართოს პავლია, თუ კი ასე მოიქცევით... კარგი დაგემართოს!

**ხმები.** რასაკვირველია, რასაკვირველია! ყველა წევეხმარებით!

**ამირანა.** კი, კი! ყველა, ყველა!

**ლომინა.** ამ წუთისოფლის გაჭირვებას, ბატონო, ჩვენც ვხვდებით რომ ერთმანეთს თუ გუვიტანთ თვარა ისე სხვებრ ვერას გავჭდებით!

**ნიკო.** რასაკვირველია; რასაკვირველია, ლომინა ჩემო! ეგ ნამდვილი სიტყვაა!..

**ილია.** რომელიც საქმეთ უნდა იქცეს, საქმეთ, საქმეთ იქცეს!.,

**სერაპიონ.** (ნიკოს) მობრძანდით ბატონო! (ნიკო შედის სახლში)

**პავლია.** ყველამ უნდა გავიზიაროთ ჩვენი მეზობლის გასაჭირი... ყველამ!

**ხმები.** კი, კი!

**ამირანა.** ყველამ, ყველამ!

**ილია.** შენც ამირანა?

**ამირანა.** მეც... მეც, შენი ჭირი შემეყაროს, მეც! მეც!

**ილია.** (იცინის) ყოჩაღ, ყოჩაღ ამირანა.

**ამირანა.** აბა რავა ვქნა შენი ჭირი შემეყაროს! სანამ ცოცხალი ვარ ვერ ჩამოვშორდები ჩემს მეზობლებს ვერც ჭირში და ვერც ლხინში, ვერა შენი ჭირი შემეყაროს. ვერ ჩამოვშორდები!

**ვასილა.** ჩამოგვშორდები—ჩვენც ჩამოგშორდებით.

**ამირანა.** ვერა, ვერ ჩამოვშორდებით, ვერა თქვენი ჭირი შემეყაროს!

**ხმები.** ასე უნდა ამირანა, ასე, ასე! (იცინიან).

**პავლია.** ბატონო ილია, რატომ დაეჩვევთ ჩვენი ნათქვამი, რომ ამ ჩვენ მეზობლის გასაჭირს გავიზიარებთ და შევეფარებით?

**ილია.** რატომ? მიტომ ჩემო პავლია, რომ ხშირათ სიტყვა რჩება და საქმეთ არა თუ არ იქცევა სულ სხვანაირათაც მიიმართება!

**პავლია.** არა, ბატონო ილია, არა! აგერ ვველა ვამბობთ და ყველა კიდეც ავასრულებთ ჩვენს ნათქვამს ყველა შევეფარებით ანტონას, ყველა გევიზიარებთ ჩვენი მეზობლის ოჯახის გასაჭირს! ჭკუა ჩვენც უნდა ვისწავლოთ, ბატონო! დროა!

**ხმები.** კი, კი, კი!

**ილია.** ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას!

**პავლია.** ა, ნახავთ თუ ასე არ იქნება!

**ილია.** ვნახავთ, ჩემო პავლია, ვნახავთ! ყოველ კეთილს შევსწრებოდეთ!

**ლომინა.** (სერაპიონს, რომელიც ის იყო სახლიდან გამოვიდა და რამოდენიმე გლეხს გადმოხურულში ელაპარაკებოდა) რაო, რას აპირებენო?

**სერაპიონ.** გადალოცვას აპირებენ!

**პავლია.** რას აპირებენო? გადალოცვას?!

**სერაპ.** ჰო, გადალოცვას.

**პავლია.** ვინ?

**სერაპ.** ვინა და ტუფია!..

**ხმები.** (მოშორებით რომ იდგნენ) გადალოცვას აპირებენ?

**სერაპ.** ჰო, ტუფია აპირებს გადალოცვას.

**ვასილა.** მართლა გადალოცვას აპირებენ ბატონო?

**ნიკო:** ჰო!.. ისე როგორც ეს იცით ხოლმე... ტუფიაც აპირობს გადალოცვას!

**ლომინა.** სით ულოცავს?

**ხმები.** სით ულოცავს?

**სერაპ.** სით გადულოცავს?!—ზევით ხომ არ შეუდგება იმ შეღმართს?! ქვევითკენ წავა, აბა საით უნდა წავიდეს!..

**პავლია.** ქვევითკენ?

**სერაპიონ.** ჰო, ქვევითკენ!

**პავლია.** რატომ ქვევითკენ უსათუოდ?

**სეფე.** (გაცხარებით) რატომ და იქით წასვლა უფრო მოსახერხებელიცაა... და ამონაყოლიც იქიდანაა!..

**ლომინა.** ზევითკენ წევიდეს!

**ვასილა.** კი ზევითკენ წევიდეს!

**რომანოზა.** უთქვამს იმ ადამიანს სით უნდა გადაულოცოს და კიდეც იქით გადოულოცავს თქვენ არ გეკითხებიან! რომ დღობით დოუშლით ახლა იქით წასვლას სითაც უნდა თუ?

**პავლია.** დოუშლი აბა არ დოუშლი!

**რომანოზა.** რავა დოუშლი?!., ერთი შენ კიდე!

**პავლია.** რავა და კარგათ!

**რომანოზა.** რა ძალა გაქვს, ამისთანა შე კაცო!

**პაელია.** ეს მე ვიცი!

**ლომინა.** (რომანოზას) თქვენკენ რომ არ მოდის იმიტომ იჩარჩები მაგ გვარათ!.. აგერ გეუბნებით ქვეითკენ ვერ გადულოცავს!

**პავლია.** ვერა, ვერა!

**სერაპ.** რატომ ვითომ, რატომ? მიზეზი რა არი?!

**პავლია.** რაში დაგჭირდათ ეხლა ეს გადალოცვა! არ გვეყოფა, რაც ჩვენ ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ სიმწარე და ჭირი გვხდება? რაღა ჩვენკენ დენიან კიდე თავიანთ უბედურებას... რაღა ჩვენკენ გზას ულოცავენ!.. ჩვენი მწუხარება არ გვეყოდა თუ? ქვეითკენ არ გაუშვებ გადასალოცავად... არა, არა! ტყვილი იმედია.

**ამირანა.** კი კი გვეყოფა, გვეყოფა ჩვენი უბედურება. ჩვენსკენ არ გადავალოცვიებთ!..

**ლომინა.** ქვეითკენ ვერ წამოვა... არ გოუშვებთ!

**ხმები.** არ გოუშვებთ არა, არა!

**ნიკო.** პავლია, ლომინა, ნურც თქვენ ღელავთ, ნურც სხვათ აღელვებთ! სითაც ურჩევნიათ იქით გოდულოცონ. თქვენ იმით არაფერი დაგიშავდებათ, გულშეწუხებულ ჭირისუფალთ კი გულზე მოეშვებათ!.. დამშვიდდით, დამშვიდდით, დაწყნარდით, თუ კაცი ხართ!

**პავლია.** არა, არა, ქვეითკენ ვერ გადულოცავენ, ვერა ეს ნათქვამია, და გათავებულია!

**ლომინა.** ) ვერა, ვერა!
**ამირანა.** ) არ გოუშვებთ!
**ხმები.** ) არ გოუშვებთ!

**ილია.** (პავლიას) თქვე კაი კაცებო, ახლა არ იყო თავს იკლავდით, შეწუხებული იყავით ამ კაცის მდგომარეობით, ყველა ერთად აცახცახდით, ოჯახის გაჭირვებას გევიზიარებთო... ახლა წინაალმდეგი უხდებით, გადასალოცავათ გზას უკრავთ. რა მოხდა ამისთანა, რა იქნა? თქვენი სიტყვა სადღაა?

**პავლია.** შევეწევით, წევეხმარებით... თავის უბედურობას ჩვენსკენ აქ ნუ მოდენიან, ჩვენსკენ გზას ნუ ულოცავენ, ნუ!

**ქვეითლები.** არ შეიძლება არა, არა! არ გოუშვებთ!

**ამირანა.** არ გოუშვებთ, არა, არა!

**სეფე.** თქვენ არავინ გეკითხებათ, გოუშვებთ თუ არა! არა, არავინ გეკითხებათ!

**სერაპ.** ვნახავთ რავა არ გოუშვებთ!

**ილია,** (ნიკოს) თქვენ ნახავთ თუ აქ ერთი ულნაურობა არ დატრიალდეს,

**პავლია.** ფეხი ქვეითკენ არავინ გადმოდგას გადმოსალოცავათ, გეიგონეთ ყველამ; (გადადიან ჭიშკარს გადაღმა და ეწყობიან გზაში).

**ხმები.** არავინ, არავინ!

**სერაპ.** ესენი, ეტყობათ მართლადაც და არ ხუმრობენ!.. რას სულელობთ, რას! რას სულელობთ თქვენ ეი!

**პავლია.** (გაჯავრებული ჭიშკრისკენ გადის) ფეხი არავინ გადმოდგას ქვეითკენ!.. ფეხი, ფეხი! თუ არა!...

**სერაპ.** თუ არა რა! თუ არა რა, ბიჭო? რას იმუქრებით, შე უსინდისო შენ?

**პავლია.** უსინდისოც ხარ და უარესიც!

**ილია.** სირცხვილია პავლია, სირცხვილია! რას სჩადიხარ... არ გრცხვენია?

**პავლია.** თავი დამანებე .. თავი დამანებე თვარა ხელახლა მიგამტვრევ მაგ დამტვრეულ ფეხებს! თავი დამანებე შენ შემეწევი შენმა სიცოცხლემ, რომ გამიჭირდეს... დიახ!!!...

**სეფე.** რას ელაპარაკებით მაგ ჭკუა გად...დართ? რას ელაპარაკებით ამ გადარეულებს?

**ლომინა.** აბა გადმოდგით ფეხი, აბა მაშინ ნახავთ გადარეული რავარი უნდა!

**გამოსვლა II.**

იგინივე და **მაია.**

**მაია.** პავლია, შვილო, რატომ ნებულობ. რატომ ნებულობ შვილო? ლომინა, ამირანა!

**პავლია.** არ შეიძლება, არ შეიძლება, არა, არა, არა! ქვეითკენ არა!!... გესმით!!!...

**მაია.** (ნიკოს და ილიას) მიშველეთ! მიშველეთ განათლებულებო!

**ამირანა.** არ შეიძლება, არ შეიძლება!

**ლომინა.**) არ შეიძლება,
**ვასილა.**) არ შეიძლება,
**ხმები** ) არა, არა!

**სერაპ.** რას ელაპარაკებით ამ გამოტვინებულთ, რას ელაპარაკებით!?

**რამდენ. გლეხი.** რაღას ელაპარაკებით, რაღას ელაპარაკებით!

**სეფე.** ტუფია წამოდი! წამოდი ტუფია, ვნახავთ რავა არ გაგიშვებენ;!!

**პავლია.** ფეხი არ გადმოდგა ფეხი! ჰეი!

**სერაპ.** ვნახავთ რას გაბედავენ, ვნახავთ! (სახლთან) ტუფია წამოდი! წამოდი ტუფია!

**სეფე.** წამოდი, წამოდი ტუფია! წამოდი!

**პავლია და ქვეითლები.** ფეხი არავინ გადმოდგათ, ფეხი არ გადმოდგათ!

**გამოსვლა 12.**

იგინივე და **ტუფია** წმინდა სანთლებით თითებზე გადასალოცავად გამზადებული. უკან მისდევს **ნატალია**, **მაია** და რამდენიმე **დედა კაცი.**

**ტუფია.** (ღაღადით) ჩემზე მომდგარ უბედურებას გზა დაგელოცა, კვლმა შენმა იხარა... იხარა შენმა სავალმა... იკმარე ჩემი სიმწარე... იკმარე ჩემი გაჭირვება...

**პავლია.** (ყვირის) ტუფია აქეთ ნუ მოდიხარ!

**ტუფია.** შემიბრალე... შემიწყალე!.. შემიცოდე!..

**ლომინა.** აქეთ არ წამოხვიდე.

**ამირანა.** არ წამოხვიდე! არ წამოხვიდე! (ყვირიან სხვებიც).

**სერაპ.** (უძღვება წინ ტუფიას) მოდი, მოდი!

**ილია.** ნახავთ აქ ერთი უბედურება დატრიალდება!

**ნიკო.** დაწყნარდით! დამშვიდდით! რას ჩადიხართ, გონს მოდით!

**სეფე.** მოდი! აბა გაბედონ რამე! გაბედონ რამე!

**პავლია** (ღობიდან კეტს მოგლეჯს) ფეხი არ გადმოდგათ, ამ კეტით გაგიპობ თავს, თავს გაგიპობ იცოდე. (ყვირიან).

**ქვეითლები.** არ გაგიშობთ, არ გაგიშობთ! არა, არა

**სერაპ.** (ეძგერება პავლიას) იქით, იქით შე გამოტვინებულო! იქით მეთქი!

**ლომინა.** დაჰკარით მაგ მამაძაღლს კეტი, მაგ მამაძაღლს კეტი!..

**სეფე და რამდენიმე გლეხი.** დაჰკარით ამ ვირებს! დაჰკარით გამოტვინებულებს! (საერთო ყვირილი, ორივე ჯგუფის შეჯახება).

**პავლია.** კეტი!.. კეტი!.. კეტი მაგათ!

**ნიკო.** რას სჩადიხართ? რას სჩადიხართ? შეჩერდით, შეჩერდით! ღმერთო ჩემო. ეს რა ამბავია! შეჩერდით თუ გწამთ ღმერთი!

**ილია.** გეიზიარეს მეზობლის გაჭირვება! გეიზიარეს!

**სერაპ.** (რომელსაც მოხვდა პავლიასაგან მოქნეულს კეტს) მიშველეთ! მიშველეთ!..

**ხმები.** კაცი მოჰკლეს!.. მოჰკლეს კაცი!.. დაჰკარით, დაჰკარით მაგ შეჩვენებულებს... დაჰკარით მაგ არა მწინდებს! დაჰკარით! დაჰკარით! (საერთო ყვირილი, წივილი, შეტაკება, ჯოხებით ცემა).

**ნიკო.** ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო, რა ამბავია ეს! რა ამბავია? რა ამბავია!!! რა საშინელებაა!!!

**დ. კლდიაშვილი.**

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. ტფილისი, მუხრანის ქუჩა. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომცემელი დ. ჯორჯაძე.